სამკვიდროს მიღება და მასზე უარი

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

თამარ ციხითათრიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის

კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ძაგნიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ციხითათრიშვილი

04.07.2021

აბსტრაქტი

დღესდღეისობით მსოფლიოში უფრო და უფრო აქტუალური ხდება მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავები და ბრძოლა მემკვიდრეობითი უფლებებისთვის. წინამდებარე ნაშრომში განხილულია მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებული ნორმები, პრობლემური საკითხები და ის უმნიშნელოვანესი ასპექტები, რაც ქონების მემკვიდრეობით გადაცემას ახლავს თან. ნაშრომი ეხება სამკვიდროს მიღებისა და მასზე უარის როგორც ქართული კანონმდებლობით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით რეგულირებას, აღნიშნული თემის ირგვლივ პრობლემური საკითხების გამოკვეთას. საკვლევი საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება მეტად სენსიტიურ, ნათესაურ ურთიერთობებს. სამოქალაქო კოდექსში ბევრი ბუნდოვანი ნორმა და ხარვეზიანი დათქმაა, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს თუნდაც ნათესავებს შორის ისედაც დაძაბულ ურთიერთობებს. სამკვიდროსთან დაკავშირებულ დავას ხშირად ეწირება აღნიშნული ურთიერთობები, რადგან ზოგჯერ უსამართლოდ ხდება სამკვიდროს განაწილება. სწორედ მემკვიდრეობის მიღებასა და მისი მიღებისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებული ბუნდოვანი საკითხების სიღრმისეულად შესწავლა იქნება ნაშრომის მიზანი, რათა ყველა მემკვიდრემ მიიღოს თავისი კუთვნილი წილი სამკვიდროდან. გაანალიზებულია პრობლემური ნორმები სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის მაგალითზე და შემოთავაზებულია მათი შესაძლო მოგვარების გზები. საკვლევი საკითხის ერთ-ერთი მიზანი საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებაა სამემკვიდრეო ნორმებთან დაკავშირებით, რათა ერთი მხრივ დაცული იყოს მემკვდრეთა ქონება მესამე პირთა ხელყოფისგან, ხოლო მეორე მხრივ ნათელი მოჰფინოს იმ გაუგებრობებსა და მოულოდნელობებს, რაც მემკვიდრეობის მიღებას ახლავს თან.

კვლევა ძირითადად არის შედარებით-სამართლებრივი ხასიათის. გამოყენებულია ასევე ისტორიული, სასამართლო პრაქტიკის, სამართლებრივი ნორმების, დოქტრინებისა და სტატიების ანალიზი. კვლევა აგებულია ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის მაგალითებზე დაყრდნობით, განხილული და შედარებულია სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო მიდგომა ამა თუ იმ ნორმასთან დაკავშირებით.

ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მემკვიდრეობით-სამართლებრივი ურთიერთობების მოგვარება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ზოგი ნორმა მეტ კონკრეტიკას საჭიროებს, რიგი საკითხები კი კანონმდებლობით საერთოდ დაურეგულირებელია, რაც პოტენციურ მემკვიდრეებს მეტად უსამართლო მდგომარეობაში აყენებს. აუცილებელია გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სამოქალაქო კოდექსის მემკვიდრეობის თავთან დაკავშირებით, რათა აღმოიფხვრას ის ბუნდოვანი და ორაზროვანი ნორმები, რომლებიც იძლევა მათი სხვადასხვა სახით ინტერპრეტაციის საშუალებას. ამასთან, ზოგიერთი ხარვეზული ნორმა საჭიროებს განვრცობას და მასში მეტი სამართალსუბიექტის გათვალისწინებას ისევ და ისევ უსამართლო შედეგების თავიდან აცილების მიზნით.

<u>საძიებო სიტყვები:</u> <u>მემკვიდრეობა, საკუთრება, მამკვიდრებელი, მემკვიდრე, სამკვიდრო მასა, სავალდებულო წილი, უღირსი მემკვიდრე, მემკვიდრეობის ჩამორთმევა</u>

Abstract

Inheritance disputes and the struggle for inheritance rights are becoming more and more relevant in the world today. The present paper discusses the norms related to inheritance, problematic issues and the most important aspects that accompany the transfer of property by inheritance. The paper deals with the regulation of the acceptance and rejection of the inheritance according to the Georgian legislation, as well as according to the practice of foreign countries, the identification of problematic issues around the mentioned topic. The research question is relevant insofar as it concerns highly sensitive, kinship relationships. There are many vague norms and flawed reservations in the Civil Code, which further aggravates even the already tense relations between relatives. In a dispute over an estate, these relationships are often sacrificed because sometimes the distribution of the estate is unfair. It is the purpose of the paper to study in-depth the obscure issues related to the receipt of the inheritance and to refrain from accepting it so that all the heirs can get their due share from the inheritance. Problematic norms are analyzed on the example of different country practices and possible solutions are suggested. One of the aims of the research issue is to raise public awareness about inheritance norms to protect the property of the heirs from encroachment by third parties on the one hand and to shed light on the misunderstandings and surprises that accompany inheritance.

The research is mainly comparative-legal. Analysis of historical, case law, legal norms, doctrines and articles are also used. The study is based on examples of national and foreign case law, discusses and compares the legislative approaches of different countries to this or that norm.

The research once again showed that the settlement of inheritance-legal relations in the Civil Code of Georgia requires great care, some norms require more specificity, and several issues are

not regulated by law, which puts potential heirs in a very unfair position. It is necessary to make some legislative changes regarding the legacy chapter of the Civil Code to eliminate the vague and ambiguous norms that allow them to be interpreted in different ways. However, some flawed norms need to be expanded to include more legal entities again and again to avoid unfair consequences.